საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ შალვა პაპუაშვილს,

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ექსპერტის ომარ ჯორბენაძის ([redacted]
მის: სამსახური - [redacted]

საკანონმდებლო წინადადება

განმარტებითი ბარათი
(ავტორისეული დასაბუთება)
პარლამენტის შესახებ

ჩვენ არ გვინდა წინამდებარე სტატია აღქმული იქნეს პოლიტიკური ხასიათის მოწოდებად, თუმცა საქართველოში ბოლო დროს ყველაფერი პოლიტიკური გახდა, რის გამოც ალბათ ვერ ავცდებით ხანდახან აზრის გამოთქმას, მათ შორის პოლიტიკურად მიჩნეულ საკითხებზეც.

გვინდა რამდენიმე სიტყვით შევეხოთ პარლამენტის არჩევასთან და დეპუტატის საპარლამენტო უფლებამოსილების განხორციელების საკითხებს.

საქართველოში მოქმედებს დეპუტატის თითქმის აბსოლუტური მანდატი, რაც ნიშნავს იმას, რომ დეპუტატი აირჩევა რა 4 წლით მაჟორიტარული წესით, ანდა პარტიული სიით, ის სარგებლობს თითქმის აბსოლუტური უფლებით ბოლომდე ამოწუროს თავისი ვადა და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (მაგალითად თუ დეპუტატი არ ესწრება ხანგძლივი დროით

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-2155/22
"23" 02 2022 წ. ფურცელი 4

პარლამენტის სხდიომებს საპატიო მიზეზის ,.გარეშე, მას შეიძლება ჩამოერთვას მანდატი პარლამენტის გადაწყვეტილებით) უწყდება უფლებამოსილება

საქართელოში ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე არ არსებობდა დამოუკიდებლობის მოპოვების დროს (იგულისხმება 90-იანი წლები) სამართლბრივი სახელმწიფოს პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფო ორგანოების, ფუნქციონირების გამოცდილება.

დღეს საქართველოში ხშირად გაიგონებთ სიტყვებს „სამართლიანობის აღდგენა", მაგრამ ჩვენ ვსვამთ შეკითხვას, შეიძლება ისეთი რამის აღდგენა რაც არ არსებობდა არასდროს? რომელი სამართლიანობა უნდა აღვადგინოთ? აღმაშენებლის, თამარ მეფის, შევარდნაძის დროინდელი? თუ ვარდების რევოლუციის დროს თუ შემდეგ არსებული? ის რაც არ არსებობდა ვერ აღადგენ, იგი უნდა ჩამოაყალიბო, შექმნა დააფუძნო, ამიტომ ჩვენ სამართლიანობა კი არ უნდა აღვადგინოთ იგი უნდა დავამკვიდროთ, დავაფუძნოთ, შევქმნათ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თამარის მეფობისას დიდებულების ნაწილი ყურთლუ არსლანის მეთაურობით განუდგა მეფეს, მოითხოვა მეფის როგორც ერთპიროვნული მონარქის უფლებების შეზღუდვა (აქ დეტალებში არ შევალ) და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას დიდებულების მონაწილეობის აუცილებლობა.

თამარ მეფემ გააგზავნა მოსალაპარაკებლად ორი ქალი, კრავაი ჯაყელი და ხუაშაქ ცოქალი, საბოლოოდ მოლაპარაკებების შედეგად ჩამოყალიბდა ქართული „პარლამენტი", რომელსაც ეწოდა დარბაზი.

ხოლო „პრალამენტის წევრებს“ „დარბაზის ერს“ ეწოდათ „დარბაისლები“, ეს ხდებოდა დაახლოებით 900 წლის წინ.

აღსანიშნავია, რომ სახელი „პარლამენტი“ ჰქვია ისეთი ქვეყნების პარლამენტს როგორიცაა დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. რადგანაც მათ ენაში სხვა სიტყვა პარლამენტის როგორც საკანონმდებლო ორგანოს აღმნიშვნელი არ არსებობს.

მაგალითად უკრაინის პარლამენტს ჰქვია Верховна Рада України (ВРУ), რუსეთის პარლამენტს ჰქვია სახელმწიფო სათათბირო - государственная дума, თურქეთის - თურქეთის დიდი ეროვნული ასამბლეა - Türkiye Büyük Millet Meclisi და ასე შემდეგ. მსგავსად გამოვიყენოთ ქართული ისტორიის დანატოვარი **და საქართველოს პარლამენტს ეწოდოს დარბაზი, ხოლო პარლამენტის წევრის ქართული დასახელება იყოს დარბაისელი.**

შეიძლება პირველ ეტაპზე საჭიროდ არ ჩაითვალოს საკონსტიტუციო ცვლილება და შემოვიფარგლოთ რეგლამენტით, რათა ენა და ყური შეეჩვიოს სიახლეს.

თქვენს ყურადღებას მივმართავ ფაქტზე, რომ არსებობს ე.წ როტაციის პრინციპი, რაც ნიშნავს დეპუტტების გარკვეული ნაწილის განახლებას გარკვეული პერიოდულობით. **მაგალითად შეიძლებოდა საქართველოში განგვეხილა შემდეგი სახის როტაციის წესი, რომ მოხდეს ორ წლიანი როტაცია პარლამენტში, რაშიც ვგულისმობ იმას, რომ 74 წევრის როტაცია მოხდეს, იმისათვის რომ პარლამენტი არ დარჩეს ქვორუმის გარეშე. როტაცია არ იქნეს გამოყენებული პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ. აღნიშნული მიდგომა ჩემი აზრით მნიშვნელოვნად განმუხტავს არსებულ სიტუაციას.**

კიდევ ერთ. საკითხს გვინდა შევეხოთ. ხშირად გაიგონებთ აზრს ცესკოს ანდა ზოგადად საარჩევნო ადმინისტრაციის, დაინტესებულობის, მიკერძოების, არაჯომპეტენტურობის, და სხვა, შესახებ. ჩვენ გვესმის რომ არჩევნების ადმინისტრირების საკითხის განხილვა ზოგადად რთული და ხანგძლივი პროცესია, და მიუხედავად იმისა, რომ ყველა არჩევნების დროს შიდა და საერთაშორისო დამკვირვებლები აღნიშნავენ რომ მოხდა წინა არჩევნებთან შედარებით ტექნიკურ საკითხებში გაუმჯობესება, გარედანაც ერთი შეხედვითაც ცხადია რომ არსებობს ისეთი საკითხები, რომლის გამოასასწორებლადაც საჭიროა სულ მცირე აზროვნება და მცირედი ნება. კერძოდ, ყველას გინახავთ ყველა არჩევნების დროს როგორ "აყირავებენ" მაგიდაზე საარჩევნო ყუთს, საიდანაც „მოედინება" ბილეტენების ჩანჩქერი, და მას ფეხით თელავენ თვითონ საარჩევნო ადმინისტრაციის წევრები. ნუთუ არ შეიძლება ადამიანურად იქნეს გახსნილი საარჩევნო ყუთი, და ამ ყუთიდან ამოღებული იყოს კონვერტები და მოხდეს მათი გადათვლა.

ასევე თითქმის ყველა არჩევნების დროს სადავო ხდება საკითხი ბიულეტენების „გაფუჭების" შესახებ მათში საარჩევნო ადმინისტრაციის დაინტერესებული პირების მიერვე კანდიდატის შემოხაზვით ანდა გადახაზვით ან სხვა უამრავი მეთოდით. ნუთუ არავის მოსდის აზრად ჩამოერთვას ყველა პირს რომელსაც ასე ვთქვათ უშუალო პირველადი შეეხება აქვს ბიულეტენებთან ყოველგვარი საწერი საშუალება?

პატივისცემით

ომარ ჯორბენაძე

23.02.2022